საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030190590546117

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/30061 **11 / მაისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 7 ნოემბრის N145 დადგენილებით რატიფიცირებული „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ მიხედვით, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) აფინანსებს „ტუბერკულოზის კონტროლის რეგიონალური პროგრამა - ფაზა II-ს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ტუბერკულოზთან ბრძოლის ეროვნული პროგრამის ფინანსური და ტექნიკური დახმარება. ფინანსური დახმარების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ქ. თბილისში ტუბერკულოზის ეროვნული სათაო/ რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობა. ვინაიდან, მშენებლობა ხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KFW) და საქართველოს მხარის თანადაფინანსებით, საქართველოს მხარეს ევალება 276.8 ათასი ლარის გადახდა.

ამასთან, როგორც თქვენთვის ცნობილია, ტუბერკულოზის ეროვნული სათაო/რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობა (თანადაფინანსება) წარმოადგენს საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტს და შესაბამისად, ეს ღონისძიება გათვალისწინებულია „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ (პროგრამული კოდი - 35 04) პროგრამაში.

ვინაიდან, დონორის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები სახაზინო სამსახურის მიერ აღირიცხება „ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა (II ფაზა) (KfW)“ (პროგრამული კოდი- 35 03 05) პროგრამაში, ამიტომ, დღგ-ს გადახდაც უნდა განხორციელდეს ამავე პროგრამული კოდიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ (პროგრამული კოდი - 35 04) პროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა (II ფაზა) (KfW)“ (პროგრამული კოდი- 35 03 05) პროგრამის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

დანართი „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ნოე ქინქლაძე